

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	177734	102779	18803
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59637	66540	48648
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	198664	221144	226254
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	198664	221144	226254
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3739494	3830044	4067087
ბიოლოგიური აქტივები	531090	537100	533891
თვითღირებულების მოდელით	531090	537100	533891
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	25544296	41904740	43767503
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	30250915	46662347	48662186
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	7765	123611	38852
სულ ვალდებულებები	7765	123611	38852
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	34648849	34648849	34673849
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-18366114	-18247596	-15900998
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	13960415	30137483	29850483
სულ საკუთარი კაპიტალი	30243150	46538736	48623334
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	30250915	46662347	48662186
სულ მოკლევადიანი აქტივები	417380	287684	293705
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	7765	123611	38851

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	808383	1017727
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	49119	173027
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	759264	844700
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	808383	1017727
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1706	26116
დასაქმებულთა ანაზღაურება	-354895	-429634
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1658660	-2042202
საპროცენტო შემოსავალი	8397	4774
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-3000	-3000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-354405	-920379
სულ საოპერაციო ხარჯები	-2360857	-3364325
საოპერაციო მოგება	-1552474	-2346598
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-42712	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	-1595186	-2346598
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1595186	-2346598
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	1476668	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	1476668	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-118518	-2346598
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	46538736	48623334
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',		
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-16177068	262000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	30243150	46538736

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	74955	83976
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	74955	83976
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	102779	18803
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	177734	102779

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 419983432, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2011 წლის 16 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი # 45

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, დამატებით ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

„კომპანიის“ დირექტორი არის დავით შელია (პ/ნ19001060964); ხოლო დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი.

ორგანიზაცია ყოველწლიურად იღებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან დაფინანსებას, (სუბსიდიას) ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის და არსებული ინფრა-სტრუქტურის მოვლა-პატრონობისა და დამატებითი ახალი ინფრასტრუქტურის შექმნისთვის.

2015 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ უვადო უზუფრუქტით შპს-ს გადასცა ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდი თავისი ლაზერული განათებით. ასევე 2020 წელს შპს-ს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ უზუფრუქტით (უვადოდ) გადასცა განმუხურის აკვა პარკი, 2021 წელს კი უზუფრუქტით (უვადოდ) განმუხურის ბულვარის კაფეები რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზაციის შემოსავლის ძირითად წყაროს.

2022 წლის ივლისის თვეში უზუფრუქტი მოეხსნა განმუხურის აკვაპარკს და დაუბრუნდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას. რომელმაც გამოიწვია კაპიტალის ცვლილება 2022 წლის ფინანსურ აღრიცხვა ანგარიშგებაში.

ორგანიზაციას, ბიოლოგიური აქტივების გარდა გააჩნია 25544296 ლარის ძირითადი საშუალებები მათ შორის (უზუფრუქტით გადმოცემული ქონება). ძირითადი საშუალებები მოიცავს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ინფრასტრუქტურას, შენობა-ნაგებობებს კაფე-რესტორანს, განმუხურის ამფითეატრს, საოფისე ავეჯსა და სხვა ინვენტარს, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა.

ორგანიზაცია იხდის ქონების გადასახადს, დღგ-ს ზედმეტობიდან ახორციელებს გადასახდის ჩათვლას.

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

2022 წლის ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშების ფორმაში, განმუხურის აკვაპარკის უზუფრუქტის მოხსნასთან დაკავშირებით, 1476668 ლარი რომელიც წარმოადგენს 2020-201წწ. ცვეთის თანხას და რომელიც ამოვიდა 5000 -ანი ანგარიშიდან (გასუფთავდა 5000-ანი ანგარიში) ასახულია სხვა სრული შემოსავალი/ ზარალის გრაფაში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

„კომპანიის“ მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ მოხდება აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები - 75-100წ.

მანქანა-დანადგარები - 5-20წ.

ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი - 2-15წ.

სატრანსპორტო საშუალებები - 10-15წ.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლებით განთავსდებიან ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

„კომპანია“ 2022 წლის ბოლოს გააჩნია 3739494 ლარის დღ-ზედმეტობა, ადრეული წლებიდან გამომდინარე, რომელიც უკან არ ბრუნდება და ამ თანხით შპს ახორციელებს ჩათვლებს საშემოსავლოს, დღ-სა და ქონების გადასახდის ნაწილში.

ეს ზედმეტობა ფინანსური მდგომარეობის ფორმაში ასახულია სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მსს ფასს მე-11 და მე-12 განყოფილებების შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით.

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

2022 წელს ორგანიზაციას გააჩნია 7765 ლარის ვალდებულება, რომელიც შედგება დეკემბრის თვის საწვავის, ელ. ენერგიის ღირებულებისა და სხვა მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებისაგან, რომელიც დაიფარება 2023 წელს.

საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. „კომპანიის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

2022 წელს კომპანიის შემოსავალი მომსახურებიდან შეადგენდა 49119 ლარს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სუბსიდია (დაფინანსება) 759264 ლარს, საპროცენტო შემოსავალი (ბანკიდან სარგებელი) 8397 ლარს და სხვა შემოსავალი 1706 ლარს.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯებით.